საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1766-02
02/07/2025

„სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის“

დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი, პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს **„სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“** (შემდგომში: „თანდართული წესი“) თანდართული სახით.
2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, განათავსოს თანდართული წესი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას:

ა) განათავსოს თანდართული წესი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა კოდექსში.

ბ) მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა ადმინისტრაციულ, დამხმარე, სტრუქტურულ და ძირითად საგანმანათლებლო და კვლევით ერთეულს.

4. დაევალოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, თანდართულ წესში მითითებული ფაილების წაშლის ან/და განადგურების ვადების მკაცრი კონტროლი.
5. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა